



ინფორმაციის თავისუფლების  
განვითარების ინსტიტუტი

თბილისის მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა  
რაოდენობა და ადმინისტრაციული ხარჯები  
2011-2016

2017 ოქტომბერი

## შინაარსი

ძირითადი მიგნებები.....	3
დასაქმებული თანამშრომლები .....	5
შრომის ანაზღაურების ხარჯები.....	9
ავტოპარკი.....	14
წარმომადგენლობითი ხარჯები .....	19
დასკვნა .....	22

## ძირითადი მიგნებები


- 2016 წლის მდგომარეობით თბილისის მერიასა და საკრებულოში, ასევე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ სსიპ-ებსა და ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა რაოდენობა დაახლოებით 8 000 თანამშრომელს ითვლის;
- 2011-2016 წლებში ქალაქ თბილისის მერიაში (ადმინისტრაცია და საქალაქო სამსახურები) ყველაზე მეტი ადამიანი 2016 წელს იყო დასაქმებული - 1198 სამტატო და 80 შტატგარეშე თანამშრომელი;
- თბილისის მერიაში დასაქმებულ თანამშრომელთა მკვეთრი მატება უმეტესწილად განაპირობა 2012 წელს თბილისის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის შექმნამ, სადაც 2016 წლის მდგომარეობით დასაქმებულია დაახლოებით 480 თანამშრომელი;
- 7 რაიონული გამგეობიდან მიღებული მონაცემების მიხედვით 2013 წლის მდგომარეობით დასაქმებული იყო 524 თანამშრომელი, ხოლო 2015 წლის მდგომარეობით - 641 თანამშრომელი;
- 2016 წლის ივლისის მდგომარეობით თბილისის მერიის დაფუძნებულ 7 სსიპ-ში დასაქმებული იყო 2144 თანამშრომელი, ხოლო 79 არასამეწარმეო არაკომერციულ იურიდიულ პირში - 3 684 თანამშრომელი;
- 2011 წლის მდგომარეობით, თბილისის საკრებულოს აპარატში დასაქმებული იყო 171 სამტატო და არცერთი შტატგარეშე თანამშრომელი, ხოლო 2016 წლის მდგომარეობით - 247 სამტატო და 69 შტატგარეშე თანამშრომელი.
- 2011-2016 წლებში ქალაქ თბილისის მერიაში და რაიონულ გამგეობებში დასაქმებული სამტატო თანამშრომლების შრომის ანაზღაურებაზე ყველაზე მაღალი ხარჯი გაწეულია 2013 წელს - 41 მილიონი ლარი, ეს მაჩვენებელი 2014 წელს 40 მილიონ ლარამდე, ხოლო 2015 წელს 35,6 მილიონ ლარამდე შემცირდა. 2016 წელს წინა წელთან შედარებით დაახლოებით 2 მილიონი ლარით გაიზარდა და 37,4 მილიონი ლარი შეადგინა.
- 2013 წლის შემდეგ შრომის ანაზღაურების ხარჯების შემცირება განპირობებულია პრემიებზე გაწეული ხარჯების შემცირებით. კერძოდ, 2013 წელს პრემიის სახით გაცემულია 14,2 მილიონი ლარი, ხოლო 2016 წელს - 6,7 მილიონი ლარი. სახელფასო დანამატის სახით 2013 წელს გაიცა 3,1 მილიონი ხოლო 2016 წელს 3,6 მილიონი ლარი.
- 2013-2014 წლებში, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შედგენის მეთოდოლოგიის დარღვევით, ადმინისტრაციის ასიგნებებიდან პრემიები ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ერთად, ასევე გაცემულია თბილისის მერიის სხვა საქალაქო სამსახურების და რაიონული გამგეობების თანამშრომლებზე.
- თბილისის საკრებულოს შემთხვევაში შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2014 წელს ფიქსირდება - 8,2 მილიონი ლარი, საიდანაც თანამდებობრივი სარგო შეადგენს დაახლოებით 4 მილიონ ლარს, ხოლო პრემია 4,2 მილიონ ლარს. 2015 წელს საკრებულოში პრემიები გარკვეულწილად ჩაანაცვლა სახელფასო დანამატებმა და პრემიისა და

სახელფასო დანამატის სახით სულ გაცემულია 2,8 მილიონი ლარი, ხოლო 2016 წელს - 3 მილიონი ლარი.

- 2011 წლის შემდეგ ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იმატებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები. ეს რიცხვი 2016 წელს 2011 წელთან შედარებით დაახლოებით 4,5 -ჯერ არის გაზრდილი.
- 2017 წლის ივნისის მდგომარეობით ქალაქ თბილისის მერიის ბალანსზე ირიცხება 289 ავტომობილი, ხოლო თბილისის საკრებულოს ბალანსზე - 35 ავტომობილი. თბილისის მერიის ადმინისტრაციის ინფორმაციით 2014 წლის შემდეგ ავტოპარკის განახლებაზე ხარჯები არ გაწეულა;
- 2015 წლის შემდეგ როგორც თბილისის მერიის ასევე საკრებულოს შემთხვევაში საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯები მნიშვნელოვნად შემცირდა;
- თბილისის საკრებულოს წარმომადგენლობითი ხარჯებზე ყველაზე მეტი გახარჯა 2014 წელს - 140,4 ათასი ლარი. 2016 წლის მდგომარეობით მსგავსი ხარჯები შეადგენს 42,1 ათას ლარს.

## დასაქმებული თანამშრომლები

2011-2016 წლებში ქალაქ თბილისის მერიაში (ადმინისტრაცია და საქალაქო სამსახურები) დასაქმებული თანამშრომლების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2016 წელს ფიქსირდება - 1198 სამტატო და 80 შტატგარეშე თანამშრომელი. 2011 წლის მდგომარეობით თბილისის მერიის ამ სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული იყო 637 სამტატო და არცერთი შტატგარეშე თანამშრომელი, რაც წლების განმავლობაში ეტაპობრივად მნიშვნელოვნად გაიზარდა.



2012 წლის შემდეგ თბილისის მერიაში დასაქმებულ თანამშრომელთა მკვეთრი მატება უმეტესწილად განაპირობა თბილისის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის შექმნამ, სადაც, 2016 წლის მდგომარეობით დასაქმებულია დაახლოებით 480 თანამშრომელი. ამასთან, მერიის სხვა საქალაქო სამსახურების შემთხვევაშიც თანამშრომელთა რაოდენობა წლების განმავლობაში გარკვეულწილად იმატებს. მაგალითად, ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურში 2011 წლის მდგომარეობით დასაქმებული იყო 23 თანამშრომელი, ხოლო 2016 წლის მდგომარეობით დასაქმებულია - 32 თანამშრომელი, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში 2011 წელს დასაქმებული იყო - 111, ხოლო 2016 წელს - 132 თანამშრომელი.

2014 წელს თბილისის მერიაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად, სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური, სადაც 2013 წლის მდგომარეობით დასაქმებული იყო 77 თანამშრომელი, გარდაიქმნა სამ სხვადასხვა საქალაქო სამსახურად, სადაც 2016 წლის მდგომარეობით დასაქმებულია 95 თანამშრომელი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებული თანამშრომლები


სტრუქტურული ერთეული	2011		2012		2013		2014		2015	
	საშტატო	შტატგარეშე	საშტატო	შტატგარეშე	საშტატო	შტატგარეშე	საშტატო	შტატგარეშე	საშტატო	შტატგარეშე
ადმინისტრაცია	204	0	208	0	224	8	210	10	197	14
საფინანსო საქალაქო სამსახური	44	0	41	0	41	5	40	5	42	5
ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური	23	0	23	0	23	2	27	3	29	3
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური	38	0	39	0	41	1	42	5	42	5
ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური	32	0	32	0	32	2	31	5	32	5
ქალაქ თბილისის მერიის კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექცია	1	-	-	-	-	-	-	-	-	-
შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური	-	-	21	0	22	2	14	3	37	5
მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური	27	0	28	0	27	3	28	4	28	4
სოციალური მომსახურების და კულტურის საქალაქო სამსახური	67	0	69	0	73	4	-	-	-	-
განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური	-	-	-	-	-	-	21	2	25	4
კულტურის საქალაქო სამსახური	-	-	-	-	-	-	16	5	22	6
ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური	-	-	-	-	-	-	30	5	32	6
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური	111	0	114	0	117	3	116	6	123	9
კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური	50	0	56	0	70	3	66	5	59	4
იურიდიული საქალაქო სამსახური	40	0	39	0	41	4	32	4	39	2
უსაფრთხოების საქალაქო სამსახური	-	-	248	0	448	38	466	0	476	5
<b>სულ</b>	<b>637</b>	<b>0</b>	<b>918</b>	<b>0</b>	<b>1159</b>	<b>75</b>	<b>1139</b>	<b>62</b>	<b>1183</b>	<b>77</b>

2013 წლის შემდეგ ქალაქ თბილისის რაიონული გამგეობების რაოდენობა 6-დან 10-მდე გაიზარდა. აღნიშნული ცვლილების შედეგად, არსებობდა მოლოდინი რომ რაიონულ გამგეობებში დასაქმებულთა რიცხვი გაიზარდებოდა. სამწუხაროდ, რაიონული გამგეობებისგან მიღებული მონაცემები მოიცავს მხოლოდ 2013-2015 წლების პერიოდს. ამასთან 3 გამგეობის შემთხვევაში ინსტიტუტს მსგავსი ინფორმაცია საერთოდ არ მიუღია. 7 რაიონული გამგეობიდან მიღებული მონაცემების მიხედვით 2013 წლის მდგომარეობით დასაქმებული იყო 524 თანამშრომელი, ხოლო 2015 წლის მდგომარეობით - 641 თანამშრომელი. 2015 წლის მდგომარეობით ყველაზე მეტი თანამშრომელი დასაქმებულია სამგორის რაიონის გამგეობაში - 123 სამტატო და 30 შტატგარეშე თანამშრომელი.

თბილისის რაიონულ გამგეობებში დასაქმებული თანამშრომლები						
რაიონული გამგეობა	2013		2014		2015	
	სამტატო	შტატგარეშე	სამტატო	შტატგარეშე	სამტატო	შტატგარეშე
საბურთალოს რაიონის გამგეობა	53	12	53	18	66	5
ვაკის რაიონის გამგეობა	77	19	75	32	78	11
კრწანისის რაიონის გამგეობა	50	13	80	21	63	36
გლდანის რაიონის გამგეობა	63	10	63	11	75	2
ნაძალადევის რაიონის გამგეობა	60	21	60	21	76	5
ისნის რაიონის გამგეობა	52	10	52	12	66	5
სამგორის რაიონის გამგეობა	70	14	98	27	123	30
დიდუბის რაიონის გამგეობა	-	-	-	-	-	-
მთაწმინდის რაიონის გამგეობა	-	-	-	-	-	-
ჩუღურეთის რაიონის გამგეობა	-	-	-	-	-	-

2011-2016 წლებში, დასაქმებულ თანამშრომელთა ზრდის ტენდენციით ასევე გამორჩეულია ქალაქ თბილისის საკრებულო. 2011 წლის მდგომარეობით, თბილისის საკრებულოს აპარატში დასაქმებული იყო 171 სამტატო და არცერთი შტატგარეშე თანამშრომელი, ხოლო 2016 წლის მდგომარეობით - 247 სამტატო და 69 შტატგარეშე თანამშრომელი. ქალაქ თბილისის საკრებულოს დამატებით ბიუროკრატიულ აპარატს წარმოადგენს აგრეთვე ფრაქციებში და მაჟორიტარი წევრის ოფისებში დასაქმებული თანამშრომლები. ჩვენს ხელთ არსებული ბოლო მონაცემებით, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თბილისის საკრებულოს ფრაქციების შტატგარეშე თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს 63-ს, ხოლო მაჟორიტარი წევრის ოფისებში დასაქმებულთა - 99-ს. ამ მოცემულობით, საკრებულოს აპარატში მომუშავეთა რიცხოვნობა დაახლოებით 480 თანამშრომელს შეადგენს, რაც საკრებულოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან კითხვის ნიშნებს აჩენს ბიუროკრატიული აპარატის ზომის ოპტიმალურობასთან დაკავშირებით.

## თბილისის საკრებულოს აპარატში დასაქმებულთა რაოდენობა



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუროკრატიული სისტემის სრულფასოვანი შეფასებისათვის ასევე, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ სსიპ-ებში და ა(ა)იპ-ებში დასაქმებულ პირთა რაოდენობის ანალიზი. სამწუხაროდ, თბილისის მერიიდან მსგავს დაწესებულებებში დასაქმებულ პირთა შესახებ სრულფასოვანი ინფორმაცია მოწოდებულია მხოლოდ 2016 წლის მდგომარეობით, შესაბამისად წლების მიხედვით თანამშრომელთა რაოდენობის ზრდის თუ კლების ტენდენციების ჩვენება შეუძლებელია. 2016 წლის ივლისის მდგომარეობით თბილისის მერიის დაფუძნებულ 7 სსიპ-ში დასაქმებული იყო 2144 თანამშრომელი, ხოლო 79 არასამეწარმეო არაკომერციულ იურიდიულ პირში - 3 684 თანამშრომელი. სსიპ-ებს შორის ყველაზე მეტი თანამშრომელი დასაქმებულია სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში - 1 310 თანამშრომელი, ხოლო ააიპ-ებს შორის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში.

თბილისის მერიის სსიპ-ებში და ა(ა)იპ-ებში 2016 წლის მდგომარეობით დასაქმებული თანამშრომლები				
N	დაწესებულება	დასაქმებულთა რაოდენობა	სულ ხარჯი 2016 წელს (ათასი ლარი)	მ.შ. შრომის ანაზღაურება (ათასი ლარი)
1	სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი	1310	28 420,2	22 751,2
2	სსიპ თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა	427	2 012,1	1 688,8
3	სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური	147	4 828,0	3 716,2





4	სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო	132	3 369,5	2 489,8
5	სსიპ ტექნოლოგიური განვითარების ფონდი	63	981,1	653,4
6	სსიპ ქონების მართვის სააგენტო	55	2 399,1	1 590,4
7	სსიპ საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრი	10	1 127,7	133,4
	<b>სულ - 7 სსიპ</b>	<b>2 144</b>		
1	ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	367	2 390,4	1 407,2
2	ააიპ თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი	183	1 194,6	934,1
3	ააიპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი	180	1 907,5	1 172,4
4	ააიპ თბილისის ზოოლოგიური პარკი	150	3 045,5	1 657,3
5	ააიპ ქ. თბილისის გლდანი-ნამალაძევის კომპლექსური სპორტული ცენტრი	108	1 578,3	797,9
6	ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზია	107	361,2	231,3
7	ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრი	99	561,3	411,2
8	ააიპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია	93	4 729,9	2 517,0
9	ააიპ ეროვნული სკრინინგ- ცენტრი	72	2 911,8	1 911,2
10	ააიპ სანდრო ახმეტელის სახელობის თბილისის დრამატული თეატრი	70	682,7	487,3
	<b>სულ - 79 ა(ა)იპ</b>	<b>3 684</b>		

## შრომის ანაზღაურების ხარჯები


2011-2016 წლებში ქალაქ თბილისის მერიაში და რაიონულ გამგეობებში დასაქმებული საშტატო თანამშრომლების შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2013 წელს ფიქსირდება 41 მილიონი ლარი, ეს მაჩვენებელი 2014 წელს 40 მილიონ ლარამდე, ხოლო 2015 წელს 35,6 მილიონ ლარამდე შემცირდა. 2016 წელს წინა წელთან შედარებით დაახლოებით 2 მილიონი ლარით გაიზარდა და 37,4 მილიონი ლარი შეადგინა.

2013 წლის შემდეგ შრომის ანაზღაურების ხარჯების შემცირება განპირობებულია პრემიებზე გაწეული ხარჯების შემცირებით. კერძოდ, 2013 წელს პრემიის სახით გაცემულია 14,2 მილიონი ლარი, ხოლო 2016 წელს - 6,7 მილიონი ლარი. პრემიებისგან განსხვავებით, დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იზრდება მათ თანამდებობრივ სარგოებზე გაწეული ხარჯები.



ქალაქ თბილისის მერიიდან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით 2013-2014 წლებში თბილისის მერიაში გაცემული პრემიებისა და სახელფასო დანამატების უდიდესი წილი გაცემულია მერიის ადმინისტრაციის ასიგნებებიდან. მაგალითად, 2013 წელს ადმინისტრაციის თანამშრომლებზე თანამდებობრივი სარგოს სახით გაიცა 3,4 მილიონი ლარი, ხოლო პრემიისა და სახელფასო დანამატის სახით ჯამში - 13,9 მილიონი ლარი, 2014 წელს სარგოს სახით გაიცა 3,5 მილიონი ლარი, ხოლო პრემიისა და სახელფასო დანამატი სახით - 12,4 მილიონი ლარი. აღნიშნული მოცემულობით, 2013-2014 წლებში ადმინისტრაციის თითოეულ თანამშრომელს პრემიისა და სახელფასო დანამატის სახით საშუალოდ ყოველთვიურად უნდა მიეღო თანამდებობრივი სარგოს დაახლოებით ოთხმაგი ოდენობა. თუმცა, როგორც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშებიდან ირკვევა, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შედგენის მეთოდოლოგიის დარღვევით, ადმინისტრაციის ასიგნებებიდან პრემიები ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ერთად, ასევე გაცემულია თბილისის მერიის სხვა საქალაქო სამსახურების და რაიონული გამგეობების თანამშრომლებზე.

სამწუხაროდ, თბილისის მერიის ადმინისტრაციასა და საქალაქო სამსახურებში 2015 წელს გაცემული შრომის ანაზღაურების შესახებ ჩაშლილი ინფორმაცია ინსტიტუტს არ გააჩნია. თუმცა, 2016 წლის მონაცემებით ადმინისტრაციაში სახელფასო პოლიტიკა გარკვეულწილად მოწესრიგდა. კერძოდ, როგორც მონაცემები აჩვენებს თბილისის მერიის საქალაქო სამსახურებში და რაიონულ გამგეობებში პრემიები და სახელფასო დანამატები გაიცემა საკუთარი ასიგნებებიდან. შედეგად, 2016 წელს ადმინისტრაციის თანამშრომლებზე სარგოს სახით გაიცა 3,2 მილიონი ლარი, ხოლო პრემიისა და დანამატის სახით ერთად - 1,6 მილიონი ლარი. შესაბამისად, სხვა საქალაქო სამსახურების და რაიონული გამგეობების ასიგნებებიდან გაწეული პრემიისა და სახელფასო დანამატების ხარჯები 2016 წლის მდგომარეობით გაიზარდა. მაგალითად ზედამხედველობის სამსახურის ასიგნებებიდან 2014 წელს პრემიის სახით გაცემულია 280,7 ათასი ლარი, ხოლო 2016 წელს პრემია 529,4 ათასი ლარი, ხოლო დანამატი 157, 2 ათასი ლარი.




**თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები**


	2011		2012		2013			2014			2016		
	სარგო	პრემია	სარგო	პრემია	სარგო	პრემია	დანამატი	სარგო	პრემია	დანამატი	სარგო	პრემია	დანამატი
ადმინისტრაცია	2 309,3	5097,9	2 673,5	6 150,7	3 376,9	10899,6	3 070,7	3 522,8	9 217,1	3 207,6	3 240,2	838,8	773,2
საფინანსო სამსახური	564,1	183,7	554,0	230,3	655,1	187,5	0	685,0	154,3	0	679,1	173,5	132,1
ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური	285,9	64,5	314,7	88,7	364,5	70,1	0	449,1	103,4	0	486,7	122,7	91,4
სოციალური მომსახურებისა და კულტურის	794,7	184,6	875,3	231,8	1 110,5	169,4	0	906,9	103,7	0			

ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების								94,1	13,8	0	521,6	109,1	93,5
კულტურის სამსახური								42,3	5,6	0	361,8	96,6	69,5
განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა								55,3	9,5	0	379,1	95,7	82,6
მუნიციპალური შესყიდვების სამსახური	326,6	64,1	361,9	97,7	432,8	99,8	0	430,8	65,9	0	443,3	119,5	91,3
ზედამხედველობის სამსახური	1 257,2	318,8	1441,4	538,2	1 803,8	422,6	0	1 852,1	280,7	0	1935,6	529,4	157,2
ტრანსპორტის სამსახური	442,2	122,2	494,9	166,2	632,4	131,9	0	693,4	85,4	0	687,6	171,5	139,2
შიდა აუდიტის და მონიტორინგის			187,8	105,6	366,6	90,3	0	371,5	67,9	0	608,3	146,8	101,0
კეთილმოწყობის სამსახური	615,4	168,4	725,7	248,6	1 060,3	154,7	0	1119,6	134,9	0	1087,5	288,2	151,6
ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახური	365,4	58,6	422,1	90,8	514,8	60,2	0	514,9	52,5	0	483,8	117,4	87,1
იურიდიული სამსახური	455,9	83,4	515,8	127,4	657,4	142,5	0	664,6	100,1	0	610,4	184,0	94,1
უსაფრთხოების სამსახური			540,1	35,0	4 295,9	141,0	0	4742,5	173,7	0	4761,5	978,9	136,4


2016 წელს წინა წლებთან შედარებით შრომის ანაზღაურების ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდა ფიქსირდება რაიონული გამგეობების შემთხვევაში. მაგალითად, 2014 წელს რაიონული გამგეობების ასიგნებებიდან სარგოზე გაიცა 9 მილიონი ლარი, ხოლო პრემიაზე 1,1 მილიონი. 2016 წელს სარგო - 10,8 მილიონი ლარი, პრემია - 2,7 მილიონი ლარი, ხოლო დანამატი 1,4 მილიონი ლარი. აღნიშნული ზრდა ერთის მხრივ შესაძლებელია განპირობებულია შრომის ანაზღაურების ხარჯების აღრიცხვის მოწესრიგებით, ხოლო მეორეს მხრივ აღნიშნულ უწყებებში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობის ზრდით. რაიონული გამგეობების შრომის ანაზღაურების ხარჯებზე თანამშრომელთა რაოდენობის ზრდის გავლენაზე მეტყველებს თანამდებობრივ სარგოზე გაწეული ხარჯების მნიშვნელოვანი მატება.



თბილისის საკრებულოს შემთხვევაში შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2014 წელს ფიქსირდება - 8,2 მილიონი ლარი, საიდანაც თანამდებობრივი სარგო შეადგენს დაახლოებით 4 მილიონ ლარს, ხოლო პრემია 4,2 მილიონ ლარს. 2015 წელს საკრებულოში პრემიები გარკვეულწილად ჩაანაცვლა სახელფასო დანამატებმა და პრემიისა და სახელფასო დანამატის სახით სულ გაცემულია 2,8 მილიონი ლარი, ხოლო 2016 წელს - 3 მილიონი ლარი.



2011 წლის შემდეგ სამტატო თანამშრომლების შრომის ანაზღაურებისგან განსხვავებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იმატებს შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები. ეს რიცხვი 2016 წელს 2011 წელთან შედარებით დაახლოებით 4,5 -ჯერ არის გაზრდილი. 2014 წლის შემდეგ შტატგარეშე თანამშრომლების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯების ზრდას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი თბილისის საკრებულოში მაჟორიტარი წევრის ოფისების შექმნამ და საკრებულოს სხვა შტატგარეშე თანამშრომლების რაოდენობის მნიშვნელოვანმა ზრდამ.




## ავტოპარკი

2017 წლის ივნისის მდგომარეობით ქალაქ თბილისის მერიის ბალანსზე ირიცხება 289 ავტომობილი, ხოლო თბილისის საკრებულოს ბალანსზე - 35 ავტომობილი.


თბილისის მერიის ავტომობილებს შორის, ექსპლუატაციაში მიღების თარიღად 2014 წლის შემდეგ პერიოდი მითითებულია 31 ავტომობილის შემთხვევაში, რომელთაგან ყველაზე ძვირადღირებულია ვიცე მერზე და მერის სხვა სამ მოადგილეზე განპიროვნებული Toyota Camry-ის მოდელის ავტომობილები - თითოეულის შესყიდვის ფასი 67 545 ლარი. თბილისის საკრებულოს შემთხვევაში 2014 წლის შემდეგ ბალანსზე აყვანილია მხოლოდ საკრებულოს თავმჯდომარეზე განპიროვნებული Toyota Camry-ის მოდელის ავტომობილი (შესყიდვის ფასი 67 545 ლარი), რომელზეც მითითებულია რომ საკრებულოს გადასცა თბილისის მერიამ.


ბალანსზე რიცხული ავტომობილების გადანაწილება  
ექსპლუატაციაში მიღების თარიღების მიხედვით



თბილისის მერიის ადმინისტრაციიდან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით 2014 წლის შემდეგ ავტომობილების შესყიდვაზე მათ ხარჯები არ გაუწევიათ. თუმცა, რა ფორმით იქნა 2014 წლის შემდეგ ექსპლუატაციაში მიღებული (უსასყიდლოდ თუ ჩანაცვლების გზით) აღნიშნული ავტომობილები ინსტიტუტისათვის უცნობია.

თბილისის მერიის ადმინისტრაციის მიერ ავტომობილების  
შესყიდვაზე გაწეული ხარჯები  
(ათასი ლარი)





ქალაქ თბილისის მერიის ავტოპარკი გადანაწილებულია საქალაქო სამსახურებსა და გამგეობებზე. სამწუხაროდ, IDFI-სთვის უცნობია ქალაქ თბილისის მერიის ყველა თანამდებობის ჩამონათვალი, რომლებიც სარგებლობენ განპიროვნებული ავტომობილებით. თუმცა, ავტოპარკის მოცულობის დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობასთან შედარება, ექვექვემ აყენებს მის შესაბამისობას 2014 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დაწესებულ მოთხოვნებთან, რომლის გათვალისწინებაც აგრეთვე ეთხოვით ადგილობრივ თვითმმართველობებს. მაგალითად, მერიის ადმინისტრაციაზე ირიცხება 51 ავტომობილი, სადაც დასაქმებულია დაახლოებით 200 სამტატო თანამშრომელი. შესაბამისად, საშუალოდ ყოველ 4 თანამშრომელზე ერთი ავტომობილი ირიცხება.

**თბილისის მერიის ბალანსზე რიცხული ავტომობილები**

საჯარო დაწესებულება	ავტომობილების რაოდენობა	მათ შორის ყველაზე ძვირადღირებული				
		ავტომობილის მოდელი	გამოშვების წელი	მიღების / შესყიდვის თარიღი	საბალანსო ღირებულება	ნარჩენი ღირებულება
ადმინისტრაცია	<b>51</b>	Toyota Camry	2015	2015	67 545	49983
ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების	<b>5</b>	Kia Optima	2011	2011	32 818	10174
სპორტი	<b>4</b>	Kia Optima	2011	2011	32 818	25354
კულტურა	<b>3</b>	Hyundai sonata	2011	2015	33 492	28 560
საფინანსო	<b>2</b>	Kia Optima	2012	2012	32 818	14440
ეკონომიკური განვითარების სამსახური	<b>3</b>	Kia Optima	2011	2011	32 818	10 174




შესყიდვები	2	Kia Optima	2011	2011	32 818	10 174
გამწვანება	7	Toyota Prado	2008	2009	48250	27 405
ტრანსპორტი	14	Kia Optima	2011	2011	32 818	10 174
კეთილმოწყობა	29	Mitsubishi L200	2011	2011	44 255	14516
შიდა აუდიტი	5	Kia Optima	2011	2011	32 818	10 174
იურიდიული	3	Kia Optima	2011	2011	32 818	10 174
უსაფრთხოება	16	Ford Transit	2007	2007	98 500	12 862
ზედამხედველობა	37	Toyota Prado	2008	2008	69 802	35 670
კრწანისის გამგეობა	9	Kia sportage	2012	2012	36 679	20 247
ჩუღურეთის გამგეობა	9	Kia Optima	2011	2011	32 818	10 174
დიდუბის გამგეობა	10	Kia sportage	2013	2013	40 977	31 798
გლდანის გამგეობა	12	Kia sportage	2013	2013	43 000	23 736
ნაძალადევის გამგეობა	11	Hyundai sonata	2013	2013	33 492	18 488
ისნის გამგეობა	10	Kia Optima	2011	2011	32 818	10 174
სამგორის გამგეობა	13	Kia Sorento	2012	2012	53 700	29 231
საბურთალოს გამგეობა	10	Kia Optima	2013	2013	36 200	19 872
ვაკის გამგეობა	12	Kia Sorento	2012	2012	52954	29 231
მთაწმინდის გამგეობა	12	Kia Optima	2013	2013	36 200	19 872
<b>სულ - 289</b>						

### თბილისის საკრებულოს ბალანსზე რიცხული ავტომობილები


საჯარო დაწესებულება	ავტომობილების რაოდენობა	მათ შორის ყველაზე ძვირადღირებული				
		ავტომობილის მოდელი	გამოშვების წელი	მიღების / შესყიდვის თარიღი	საბალანსო ღირებულება	ნარჩენი ღირებულება
საკრებულოს თავმჯდომარე	1	Toyota Camry	2015	გადმოცემულია მერიიდან	67 545	52 415
თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	Toyota Camry	2009	2009	53 860	5 601
თავმჯდომარის მოადგილეები	2	Kia Optima	2013	2013	44 000	24 288
კომისიის თავმჯდომარეები	11	Hyundai Ix	2012	2013	43 312	23 908

ფრაქციის თავმჯდომარეები	9	Toyota Camry	2008	გადმოცემულია მერიიდან	61 700	0
აპარატის უფროსი	1	Kia Optima	2011	2012	33 117	14 572
მორიგე/რეზერვი	8	Mitsubishi L200	2012	2012	57 850	24 134
ამორტიზებული	2	Kia Optima	2011	2012	33 117	14 572
<b>სულ - 35</b>						

თბილისის მერიის ადმინისტრაციიდან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით 2012 წლის შემდეგ საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯების კლებადი ტენდენციები ფიქსირდება. კერძოდ, 2012 წელს ადმინისტრაციის ავტოპარკის საწვავის ხარჯმა შეადგინა დაახლოებით 1,9 მილიონ ლარი. ეს მაჩვენებელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა და 2016 წელს 1 მილიონი ლარი შეადგინა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მერიის ადმინისტრაციის სახელმწიფო აუდიტის ანგარიშში, რომელიც მოიცავს 2013 წლის პირველი იანვრიდან -2015 წლის 1 ივლისამდე პერიოდს, წარმოდგენილია არაერთი შემთხვევა, რომელიც საწვავის არარაციონალური მოხმარების ფაქტებს აღწერს. მაგალითად, 2013 წელს ქალაქის მერზე განპიროვნებული ავტომობილის საწვავის ხარჯმა შეადგინა 9 900 ლიტრი. ამ ავტომობილის 100 კმ-ზე წვის ნორმის გათვალისწინებით, მას ყოველდღიურად 333 კილომეტრი უნდა გაევიდეს.



ქალაქ თბილისის საკრებულოში საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯები 2015 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად იკლებს და 2016 წელს ბოლო 6 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდება - 194 ათასი ლარი. თბილისის საკრებულოში საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯების შემცირების ერთ-ერთ უმთავრეს განმაპირობებელ ფაქტორს, კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესება წარმოადგენს, რაც საწვავის დადგენილი ლიმიტის ფარგლებში ე.წ. ჩიპების საშუალებით გაცემაში გამოიხატება. მაგალითად, თბილისის საკრებულოში ტალონური სისტემით განაწილებისას საწვავის ათვისების მაჩვენებელი 100%-ს შეადგენდა, ელექტრონული ბარათებით - 90%-ს, ხოლო ჩიპებით - 74%-ს.<sup>1</sup>



## წარმომადგენლობითი ხარჯები

ქალაქ თბილისის მერიიდან 2011-2016 წლებში გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯების შესახებ მოწოდებული ინფორმაცია, სრულყოფილად ასახავს, მხოლოდ მერიის ადმინისტრაციის მიერ გაწეული ხარჯების ტენდენციებს. ამ მონაცემების მიხედვით, ადმინისტრაციის წარმომადგენლობითი ხარჯების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2016 წელს ფიქსირდება - 187,9 ათასი. ანალოგიური მაჩვენებელი 2011 წელს შეადგენდა 1 072,1 ათას ლარს.

მხოლოდ ადმინისტრაციის მონაცემებით, თბილისის მერიის 2011-2016 წლების წარმომადგენლობითი ხარჯების სრულყოფილი სურათის დანახვა შეუძლებელია, ვინაიდან

<sup>1</sup>ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012-2014 წლების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში, გვ. 16, 2015წ.

როგორც ცალკეული წლების მონაცემები აჩვენებს, სხვა საქალაქო სამსახურებსაც აქვთ ანალოგიური ხარჯები. მაგალითად, 2016 წელს ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის პროგრამებიდან სტუმრების გამასპინძლებასთან დაკავშირებით სარესტორნო მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 197,4 ათასი ლარი, საიდანაც უდიდესი ნაწილი (143,5 ათასი ლარი) დაკავშირებულია ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-9 საერთაშორისო ფორუმში მონაწილე სტუმრების გამასპინძლებასთან. მათ შორის, სასტუმრო ბილტმორში 400 პერსონაზე 4 ყავის შესვენებით გამასპინძლებისათვის გადახდილია 54 280 ლარი. იმავე სასტუმროსთვის 400 პერსონაზე 3 ყავის შესვენებით ასევე გადახდილია 50 675 ლარი.




**2016 წელს თბილისის მერიის ადმინისტრაციის და ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის ყველაზე მკერადღირებული წარმომადგენლობითი ხარჯები**

სტრუქტურული ერთეული	წარმომადგენლობითი ხარჯის დასახელება	გადარიცხვის თარიღი	გაწეული ხარჯი	მომსახურების მიმწოდებელი
ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური	ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-9 საერთაშორისო ფორუმში მონაწილე სტუმრების ლანჩით გამასპინძლება (400 პერსონა)	16.12.2016	54 280	სასტუმრო ბილტმორი
ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური	ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-9 საერთაშორისო ფორუმში მონაწილე სტუმრების ლანჩით გამასპინძლება (90 პერსონა)	16.12.2016	50 675	სასტუმრო ბილტმორი

მერიის ადმინისტრაცია	წვეულებისა და ღონისძიების ხარჯი	04.11.2016	32 889	შპს ჯი-ემ-თი მთაწმინდა
მერიის ადმინისტრაცია	სასტუმროს მომსახურების ხარჯი	15.11.2016	30 981	შპს ჯი-ემ-თი სასტუმროები
ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური	„კულტურა და შემოქმედებითობა ინოვაციისა და განვითარებისათვის შემოქმედებითი საქართველოს გზამკვლევი“ ფორუმში მონაწილე სტუმრების კვებით გამასპინძლება (60-170 პერსონა)	16.12.2016	18 760	შპს „ბალი ივენთი“ ტექნო პარკი

თბილისის საკრებულოს წარმომადგენლობითი ხარჯების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2014 წელს ფიქსირდება 140,4 ათასი ლარი. 2016 წლის მდგომარეობით მსგავსი ხარჯები შეადგენს 42,1 ათას ლარს, მათ შორის სტუმრების გამასპინძლებასთან დაკავშირებით სარესტორნო მომსახურებაზე დახარჯულია მხოლოდ 1 738 ლარი.



## დასკვნა

თბილისის მერიიდან და საკრებულოდან მიღებული 2011-2016 წლების მონაცემების ანალიზი ნათლად აჩვენებს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუროკრატიული აპარატი მნიშვნელოვან ოპტიმიზაციას საჭიროებს. წლების განმავლობაში თბილისის მუნიციპალურ დაწესებულებებში დასაქმებულთა რაოდენობის მატების ტენდენციები ფიქსირდება. შედეგად, 2016 წლის მდგომარეობით თბილისის მერიასა და საკრებულოში, ასევე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ სსიპ-ებსა და ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა რაოდენობა დაახლოებით 8 000 თანამშრომელს ითვლის. კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, ეს მაჩვენებელი, ვერ ჩაითვლება ბიუროკრატიული აპარატის იმ ოპტიმალურ ზომად, რაც საკმარისია მუნიციპალიტეტის სტრატეგიული მიზნების ეფექტიანი შესრულებისათვის.

2011-2016 წლებში თბილისის მერიის და საკრებულოს მიერ ადმინისტრაციული ხარჯების ანალიზი, აჩენს კითხვებს საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ განკარგვასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ 2015-2016 წლებში შეინიშნება კონკრეტული ადმინისტრაციული ხარჯების ოპტიმიზაციის ტენდენციები (2013-2014 წლებთან შედარებით გარკვეულწილად შემცირებულია პრემიებისა და დანამატების საერთო ხარჯი, მინიმუმამდეა დაყვანილი ავტოპარკის განახლების ხარჯები, შემცირებულია საწვავის მოხმარების ხარჯი) IDFI მიიჩნევს, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის სისტემის ბიუროკრატიული აპარატის ზომა და მის უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯები მნიშვნელოვნად აჭარბებს მუნიციპალიტეტის საჭიროებებს და აუცილებელია მისი შემდგომი ოპტიმიზაცია, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის მაქსიმალურად ეფექტიანი და მოქნილი ბიუროკრატიული სისტემის ჩამოყალიბებას.